გადახსნილი, თიხისფერი მთები

indigo.com.ge/articles/gadaxsnili-tixisferi-mtebi



02.09.2020
„პატარა კახეთს ეძახდნენ ბალიჭს ძველად, კოლმეურნეობის დროს. მოწინავეები ვიყავით. სავსე იყო აქაურობა ცხვრით, ვენახით, საქონლით, ხილიც გვქონდა. მაშინ ავაშენეთ სახლები. ნელ-ნელა ხალხმა ქონება შეიძინა და კარგად ვცხოვრობდით“.

„თავისუფლად ვსუნთქავდით, ჰაერი სულ სხვანაირი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ მოდიოდნენ დასასვენებლად. ბევრი სტუმარი გვყავდა. ყველაზე კარგ სოფლად ეს (ბალიჭი) ითვლებოდა. შესანიშნავი ჰაერი და წყლები იყო“, – იხსენებენ ბოლნისში, სოფელ ბალიჭში მცხოვრები 50 წელს გადაცილებული მოსახლეები.

მდიდარი, აყვავებული და ლამაზი გარემო მხოლოდ მათ მეხსიერებაში შემორჩა. თბილისიდან 80 კმ-ის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ბოლნისის რაიონში სამთო მადნეულის მომპოვებელი კარიერების ამუშავებამ ბუნებაც და ადგილობრივების ცხოვრებაც რადიკალურად შეცვალა.

„განცდა მაქვს, რომ ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ გარდაიქმნა. მადნეულის დიდი კარიერი კაზრეთის თავზეა, ჩემი სოფლიდან არ ჩანს, სამაგიეროდ, ჩვენი აივნიდან კარგად ხედავ აბულბუქის, საყდრისისა და ყაჩაღიანის საბადოებს. ინტენსიური ღია კარიერული მოპოვებები იქ 2008-2010 წლებიდან დაიწყო.

> ამიტომ ჩემს მეხსიერებაში ნათლად ჩაიბეჭდა ბუნების ცვლილება – თუ წინათ სულ მწვანე ფერდობი იყო, ახლა ფუჭი ქანებით და ღია, გადახსნილი მთებითაა სავსე იქაურობა“, –

გვიამბობს 25 წლის ირაკლი, რომელიც სოფელ ბალიჭიდანაა, სკოლა დაბა კაზრეთში დაამთავრა და თავისიანებთან თბილისიდან ხშირად ბრუნდება.

ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალის საბადოს შესწავლა ამ რეგიონში გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყეს, ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი – მადნეულის კომბინატის მშენებლობა კი, 1959 წელს. სრულიად უკაცრიელ ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი გაჩნდა. კომბინატი ექსპლუატაციაში 1975 წელს შევიდა, მოიპოვებდა სპილენძს, ბარიტს, ოქრო-ვერცხლის შემცველ კვარციტებს, უზრუნველყოფდა მათ პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქციის რეალიზაციას.

ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა „კვარციტი“, რომელმაც ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის მიღება დაიწყო. საწარმო 1 039 ჰექტარ ტერიტორიაზეა გაშლილი და უწყვეტი რეჟიმით მუშაობს. სპილენძის მომპოვებელი „მადნეულიცა“ და „კვარციტიც“ „არემჯის“ მფლობელობაში 2012 წელს გადავიდა. „მადნეულს“ „RMG cooper“ ეწოდა, „კვარციტს“ – „RMG Gold“.



მთელი ამ წლების განმავლობაში გაშლილმა სამთო-მომპოვებელმა სამუშაოებმა ბოლნისის რაიონის სოფლები საკუთარი თავის აჩრდილს დაამსგავსა. დასახლება, სადაც ახერხებდნენ ბუნებასთან ერთად ჰარმონიაში ცხოვრებას, ნელ-ნელა ჯანმრთელობისთვის საშიშ ადგილად იქცა.

დღეს იქ ბუნების ხმებზე მეტად აფეთქებების ხმები ისმის. მთის გაშიშვლებულ ფერდობებს წვიმის წყლები რეცხავს და მდინარეში ჩააქვს. სიმწვანეს უკვე მკაფიოდ ანაცვლებს მიწის გადახსნილი ქანების თიხისფერი. საყდრისის ბორცვიც მოსწორებულია, აბულბუქის საბადოცა და მიმდებარედ მთელი ქედიც გადათხრილი და მოშიშვლებულია.

ირაკლი იხსენებს: „ბავშვობიდან ისიც კარგად მახსოვს, რომ აქაურები სულ მიწაზე მუშაობდნენ, ჩემი ოჯახის ჩათვლით. ჩემს სოფელში წინა წლებში, მე-20 საუკუნის შუა წლებამდე თურმე ყურძენი მოჰყავდათ. დიდი ვენახები იყო მთელ ტერიტორიაზე გაშენებული და მეღვინეობა გაჩაღებული. მერე ჩემს სოფელში მეკარტოფილეობა და სხვა კულტურების მოყვანა დაუწყიათ. ვენახი გაუჩეხიათ. მაგრამ ხილიც გვქონდა ადრე, მახსოვს, ვაშლი, კაკალი, ბალი. აი, სკოლაში რომ დავდიოდი, გზად სულ იმას ვხედავდი, როგორ ფუსფუსებენ ბაღ-ბოსტნებში, იკრიფება ხილი. იქაურები მხოლოდ მოგვიანებით დასაქმდნენ კარიერზე, მიწის დასამუშავებლად ვეღარ იცლიდნენ და მიატოვეს, სხვა ცხოვრების სტილზე გადაეწყვნენ“.

„არემჯის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ „არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“ საქართველოსა და ბოლნისის რაიონში უმსხვილესი დამსაქმებლები არიან. ორივე კომპანიაში 3000-მდე ადამიანი მუშაობს, მათი 90 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეა. საქართველოში ყველაზე მასშტაბური სამთო-მომპოვებელი კომპანია ქვემო ქართლში გაშლილ სალიცენზიო ტერიტორიებზე ოქროსა და სპილენძს მოიპოვებს. RMG Gold-ის მესაკუთრე ნიდერლანდებში რეგისტრირებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა. RMG Cooper-ის მფლობელების შესახებ ინფორმაცია კი რეესტრში არ იძებნება. საქართველოს კანონმდებლობა მას საჯაროობას არ ავალდებულებს. მათივე ვებგვერდიდან კი დამატებით ვიცით ის, რომ 2011-2014 წლებში „არემჯიმ“ საქართველოში 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა.

ადგილობრივები ამ სიკეთეს საკუთარ თავზე ვერ გრძნობენ. მეტიც, რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოწვევა სიღარიბეა. დასაქმება იმ კომპანიაში, რომელიც მათ საცხოვრებელ გარემოს ამახინჯებს და ჯანმრთელობას არყევს, გამოუვალი მდგომარეობაა და არა სხვა რამ. ადგილობრივები საბადოზე მუშაობენ, რადგან რთულია სხვა სამსახურის მოძებნა. მანამდე არჩევანი ჰქონდათ – სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავება, მაგრამ მას მერე, რაც, ირაკლის თქმით, „ქალაქური ცხოვრების წესზე“ გადაერთვნენ და მიწები მიატოვეს, ეს არჩევანიც წაერთვათ.

> „ზოგიერთი ოჯახიდან ორი ადამიანიც კი მუშაობს კარიერზე, ვინც მიწას ამუშავებს, მხოლოდ საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად, რეალიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია“, – ამბობს ირაკლი.

მამა ინჟინერ-მშენებელი ჰყავს, ისიც კომპანიაში მუშაობს, უკვე 23 წელია. „ძალიან ცოტა პროცენტია, რომელმაც თავი დააღწია და სხვა გზა მონახა. დედაჩემი სკოლაში მუშაობს, მაგალითად“, – ამატებს ირაკლი.

რადგან სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუშაობა გაჩერდა, ეს სფეროც ვეღარ განვითარდა. არაა სარწყავი სისტემები ნაკვეთების დასამუშავებლად, პრობლემაა ისიც, რომ მიწები სახლებისგან დაშორებულია – მეტი დრო სჭირდება.

თუმცა, ბალიჭელებმა რომც მოინდომონ და სოფლის მეურნეობის პრობლემების მოგვარებაზე კონცენტრირდნენ, არ გამოუვათ. ინდუსტრიულმა წარმოებამ და დაბინძურებამ სამეურნეო მიწები შეიწირა და გარკვეული კულტურებისთვის გამოუსადეგარიც გახადა.

„დღეს მიწაზე მოსავალი არ მოდის, თავსაც ვეღარ ვირჩენთ“.

> „ლპება, ფუჭდება ყველაფერი. კაკლისა და ვაშლის ხეები გაგვიხმა. 4 ძირი მოვჭერი. მსხალი არ ინახება. პომიდორი და კიტრი 40 პროცენტიღა მოდის, დამტვერიანება, სიბინძურე ჩვენზე, ადამიანებზეც ხომ მოქმედებს?“ – ჩივიან ადგილობრივები კაზრეთის თემში.

„კაკალზე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კარიერის ამუშავების შემდეგ გაგვიფუჭდა. მტვრით ივსება ფოთლები და აი, ახალგაზრდა ხესაც უკვე ტოტები გაუხმა. ამას კარგად დაინახავთ, თუ კარიერთან ახლოს ამოსულ ხეებს შეავლებთ თვალს“, – გვიამბობს ირაკლიც.

ბუნებრივი რესურსების მოპოვებას გარემოსთვის ზიანი მოაქვს – ეს ცნობილია. მის შესამცირებლად, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, სამთომომპოვებელ კომპანიებს კონკრეტულ მოთხოვნებს უწესებს. თუმცა არ არსებობს სრულფასოვანი კვლევა, რომელიც გამოკვეთდა, რა გავლენა აქვს საწარმოებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემები და ისინიც კმარა იმის დასადგენად, რომ კომპანიები რიგ შემთხვევებში მინიმალურ მოთხოვნებსაც კი არ ასრულებენ.

მაგალითად, გერმანიის გისენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი კვლევით, რომელიც 2001-2011 წლებს მოიცავდა, დასტურდება, რომ ტერიტორიის ნახევარზე მეტი სერიოზულად არის დაბინძურებული მძიმე მეტალებით, კერძოდ, სპილენძით, კადმიუმით და თუთიით. ზოგიერთ უბანზე ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა აღმოჩნდა.

„მდინარე მაშავერას ხეობის მორწყული ნიადაგების დიდი ფართობი ძლიერადაა გადატვირთული მძიმე ლითონებით; დაბინძურების პრობლემა არსებობს, მაგრამ არ არსებობს აქედან გამოსავალი – პოლიტიკური და ეკონომიკური გზები“, – წერია ანგარიშში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ის საქმიანობები, რომლებსაც პოტენციურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს გარემოსა და ადამიანის სიცოცხლეზე, მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი თანხმობით უნდა შესრულდეს. თუმცა, ეს ყოველთვის სავალდებულო არ არის RMG ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის. მაგალითად, 2019 წლის 28 მარტს „არემჯი აურამაინის“ ბექთაქარის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე, კომპანიამ რეზერვუარ-

სალექარი ისე მოაწყო, რომ არ შეუსწავლია მისი გარემოზე გავლენა და არც გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიუღია შესაბამისი დასკვნა. „მწვანე ალტერნატივამ" ამის შესახებ სოფელ ბერთაკარში პროექტის საჯარო განხილვაზე გაიგო, როცა მათივე თხოვნით საპროექტო ტერიტორია დაათვალიერეს და დაინახეს, რომ „არემჯი აურამაინს" არა თუ დაგეგმილი, არამედ უკვე დამთავრებულიც კი ჰქონდა მშენებლობა – ორი სალექარი უკვე მოწყობილი იყო. მოკვლევის დროს ასევე აღმოჩნდა, რომ შპს „არემჯი აურამაინი" ვალდებული ყოფილა შეემუშავებინა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და შესათანხმებლად სამინისტროში წარედგინა. გაკეთებული არც ეს იყო.



ირაკლისა და მისი თანასოფლელების ნათქვამს, რომ მათ მიწაზე მოსავალი აღარ ხარობს, რიცხვებიც ადასტურებს. ზოგიერთ კვლევაში კი ამის მიზეზებიც იკვეთება. 2017 წელს, იმ ტერიტორიაზე, სადაც ბუნებრივ რესურსებს მოიპოვებენ, 21 სოფლიდან აიღეს სინჯები და მეტალების შემცველობაზე შეამოწმეს: სპილენძი (Cu), თუთია (Zn), მანგანუმი (Mn), რკინა (Fe), კადმიუმი (Cd), ნიკელი (Ni), კობალტი (Co) და ტყვია (Pb). მდინარეები მაშავერა და ფოლადაური მნიშვნელოვნად დაბინძურებული აღმოჩნდა. ფოლადაურის ქვედა წელში, წუღრუღაშენთან, კადმიუმის კონცენტრაცია ნორმას 28-ჯერ აჭარბებდა. ხოლო მდინარე კაზრეთულაში კადმიუმის კონცენტრაცია დასაშვებზე 10-ჯერ მაღალი იყო.

სოციალური გარემოს გარდა, დაბინძურებული ჰაერი და წყალი ადამიანების ჯანმრთელობაზე ტოვებს მძიმე კვალს. ტყვია, მაგალითად, რომელიც ადამიანის ორგანიზმში შეიძლება წყლიდან ან ჰაერიდან მოხვდეს, ჰორმონალურ დარღვევებს, ანემიას, ჰიპერტენზიას იწვევს. ორგანიზმში დიდი დოზით სპილენძის ან კადმიუმის არსებობა აზიანებს ღვიძლს, თირკმლებს, ნერვულ სისტემას, სასუნთქ ორგანოებს. შეიძლება მეხსიერების დაქვეითება, დაღლილობა, თავის ტკივილი, უძილობაც გამოიწვიოს.

ერთ-ერთ კვლევაზე მუშაობისას სპეციალისტებმა დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვეს დაავადებების შემთხვევების შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტში. თუმცა კვლევაში ხაზგასმით წერია, რომ მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია დაბინძურებასა და ცალკეულ დაავადებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დანახვა, მონაცემები კონტექსტის გასააზრებლად მაინც ძალიან საინტერესოა.

„მუნიციპალიტეტში ყველაზე ხშირია სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები (5209 ადამიანია დაავადებული ამ ავადმყოფობით), მათ შორის, 0-15 წლამდე ბავშვებში (3057). რიგითობით გახშირებული ავადმყოფობებია: სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები (4524 ადამიანში), ჰიპერტენზია (3517 ადამიანში), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული (1913 ადამიანში) და ნერვული სისტემის დაავადებები (839 ადამიანში)“.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს ისიც ჰკითხეს, დაესახელებინათ მათ რეგიონში ყველაზე ხშირად გავრცელებული დაავადებები. პასუხებს შორის ყველაზე ხშირად მეორდებოდა: ჰიპერტენზია, სასუნთქი ორგანოების, ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

> „იმიტომ დავანებე თავი მუშაობას, რომ ვეღარ გადავურჩი, თირკმელები, ღვიძლი, ხერხემალი – ყველაფერი მაწუხებდა. კბილებიც. ყოველი ექიმთან წასვლა 500-1000 ლარი მიჯდებოდა. მაშინ კიდევ იაფი იყო წამლები. იძულებული თუ არ გახდა მუშა, არ ანებებდა თავს სამსახურს, არც მაშინ და არც ახლა“, – დასძენს მისი თანასოფლელი.

ირაკლის მამასაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მიზეზს კი ექიმები ვერ ადგენენ და არ იციან, პირდაპირ როგორ დააკავშირონ ეს მდგომარეობა სამუშაო ადგილთან. „კიდევ კარგი, დაზღვევა აქვს სამსახურიდან, უამრავ ექიმთან დაგვყავს, რომ მივაკვლიოთ დიაგნოზს. გულიც აწუხებდა, რკინის ნაკლებობა აქვს. პერიოდულად აწუხებს საშინელი სისუსტე, მაგრამ არ წამოსულა სამსახურიდან, უბრალოდ ხშირად ბიულეტენზეა, გადასხმას გაიკეთებს და უკან ბრუნდება. წესით, პროფესიული დაავადებების პენსიაც უნდა ჰქონდეს ამ ხალხს“.

დღემდე არ ვიცით, რა ოდენობით მოიპოვებს ბუნებრივ რესურსს კომპანია, მოგებიდან რა წილი შეაქვს ადგილობრივი ან ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში, რა ინვესტიციას დებს საწარმოებში. ეს მონაცემები კომპანიის კომერციული საიდუმლოებაა და მისი გაგება გვეკრძალება. თუმცა, კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე ხაზგასმით წერია, რომ „არემჯი“ აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას დაბა კაზრეთის, ბოლნისის რაიონისა და ქვეყნის წინაშე. სწორედ ამ მიზნით, ის რეგიონში არაერთ სოციალურ, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებას აფინანსებს.

თუმცა, გაჭირვებისა და უპერსპექტივობის გამო, სოფლებში მიგრაციის ტენდენცია შეინიშნება. უმრავლესობას საცხოვრებლად სხვა სოფელში გადასვლა ან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა უნდა. მაგრამ აქაც პრობლემებს აწყდებიან. სახლებს ვერ ყიდიან. მოწამლული ჰაერი არავის უნდაო, ამბობენ.

ადგილობრივები პროტესტსაც ნიჰილისტურად უყურებენ და არ სჯერათ, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვლება.

> „ხომ გაიფიცნენ, დავხურეთ კომპანია, დავხურეთ აბულბუქი, ყაჩაღიანი. ამდენი ადამიანი სად უნდა წავიდეს? მეორე კუთხითაც შევხედოთ. ხომ ავადმყოფდებითო და რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი მშიერი მოკვდება თუ ავადმყოფი?“ – ამბობს ბალიჭელი.

ნელ-ნელა სოფლები იცლება. ახალგაზრდები მიდიან. ოჯახებისა და ბავშვების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ სოფელ ბალიჭში სკოლაც დაიხურა. ბავშვები კაზრეთის სკოლაში დადიან. ზოგიერთ სოფელში არც საბავშვო ბაღი აქვთ.

ტექსტში გამოყენებულია ფრაგმენტები კვლევებიდან:

- მწვანე აკადემია: ოქროს საბადოსთან ცხოვრების საფასური: კომპანია „არემჯის“ საქმიანობის ეკონომიკური და სოციალური გავლენები მოსახლეობაზე , 2018.
- მწვანე ალტერნატივა: RMG კომპანიის პროფილი, 2018
- მწვანე ალტრენატივა: RMG კომპანიის პროფილი, 2019
- ორგანიზაცია „მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმა“
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში, 2013-2014
- მწვანე პოლიტიკის სამეცნიერო კვლევითი პლატფორმა, 2017.
- კომპანია RMG და მისი წვლილი ქართულ ეკონომიკაში.

ფოტო: გოგიტა ბუხაიძე

ავტორი:
მარიამ ჯაჭვაძე